ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

N 34

რიგითი სხდომის

დღის წესრიგი

თარიღი: 29 აგვისტო, 2024 წელი
დრო: 14:00 საათი
ადგილი: ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ. N 3

1. „2024–2025 სასწავლო წლისათვის სკოლამდელი დაწესებულებების მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ“ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების“ ინფორმაციის თაობაზე

   ბატონი დავით წიტაიშვილი
   არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირის
   „ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების“ დირექტორი

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

   ბატონი ვალერიან სილაგაძე
   ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
   სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
   ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
   მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის ფორმით, მოქალაქე ნანა ნემსაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით), იჯარის ფორმით, მოქალაქე თამარ ხიდაშელისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით), იჯარის ფორმით, მოქალაქე მედეა დოლაბერიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ნუგზარ ბრეგაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქვალითი სფეისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობებით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

9. ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირის №20; №20ა; №20დ; №20ე; №20ვ; №20ზ-სა და ბუხაიძის მე-2 მიკრორაიონის №1ა-ს სამხრეთით არსებული მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი მამუკა კუბლაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების,
ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგით **N 34** სხდომის
დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების შესახებ
საინფორმაციო ბარათი

1. „2024–2025 სასწავლო წლისათვის სკოლამდელი დაწესებულებების მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ“ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების“ ინფორმაციის თაობაზე

საკითხის თანახმად, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის N260 დადგენილების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი წარმოადგენს ინფორმაციას 2024-2025 სასწავლო წლისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ.

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხის თანახმად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხას დაემატა №509-№510 პუნქტები. ნუსხაში დამატებული უძრავი ქონებების პრივატიზაციის ან სარგებლობაში გაცემის შემთხვევაში მუნიციპალიტეტი მიიღებს დამატებით შემოსავალს.

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატა №259-№260 პუნქტები. გეგმაში დამატებული უძრავი ქონებების პრივატიზაციის ან სარგებლობაში გაცემის შემთხვევაში მუნიციპალიტეტი მიიღებს დამატებით შემოსავალს.

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის ფორმით, მოქალაქე ნანა ნემსაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მოქალაქე ნანა ნემსაძეს პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაეცემა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №21, ქარხანა ,,აიასთან" მდებარე უძრავი ქონების ნაწილი (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.05.23.146; ფართობი - 460.00 კვ.მ;) 20 (ოცი) წლის ვადით.

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით), იჯარის ფორმით, მოქალაქე თამარ ხიდაშელისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მოქალაქე თამარ ხიდაშელს პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაეცემა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №67-ის მიმდებარედ მდებარე უძრავი ქონების ნაწილი (საკადასტრო კოდი №03.04.26.623-დან ფართობი - 35.00 კვ.მ.), 20 (ოცი) წლის ვადით.

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით), იჯარის ფორმით, მოქალაქე მედეა დოლაბერიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მოქალაქე მედეა დოლაბერიძეს პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაეცემა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №44 სახლის აღმოსავლეთით არსებული უძრავი ქონების ნაწილი (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.06.433; ფართობი - 28.00 კვ.მ;) 10 (ათი) წლის ვადით.

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ნუგზარ ბრეგაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მოქალაქე ნუგზარ ბრეგაძეს პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაეცემა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა, I შესახვევი №9-ის სამხრეთით

მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი №03.04.32.659; ფართობით - 194.00 კვ.მ.) 10 (ათი) წლის ვადით.

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქვალითი სფეისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობებით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ქვალითი სფეისს“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412776973) პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით) უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაეცემა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37, სადგური ქუთაისი II-ის მიმდებარე ტერიტორია, ნაკვეთი №1-1 (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.26.173; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობი 770.0 კვ.მ. შენობა - ნაგებობის ჩამონათვალი: №1 საერთო ფართით 855.46 კვ.მ.), ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №59ა ბინის სამხრეთით (გზა, საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.26.613-დან ნაწილი; ფართობით 94.00 კვ.მ.) და ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37-ის ჩრდილოეთით (ავტოსადგომი, საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.26.381; ფართობით 119.00 კვ.მ.), ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) წლის ვადით, მათ შორის 2(ორი) წელი უსასყიდლოდ.

შპს „ქვალითი სფეისი“ ვალდებულებას იღებს სარგებლობაში გადაცემულ ქონებაში უზრუნველყოს სამედიცინო დაწესებულების შექმნა, განახორციელოს არანაკლებ 950 000 ლარის ინვესტიცია და დაასაქმოს 37 ადამიანი, ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში.

9. ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირის №20; №20ა; №20დ; №20ე; №20ვ; №20ზ-სა და ბუხაიძის მე-2 მიკრორაიონის №1ა-ს სამხრეთით არსებული მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას 2024 წლის 29 მაისს N4424150175-10 განცხადებით მიმართა გიორგი რაზმაძემ და წარმოდგენილი საწყისი მონაცემების საფუძველზე მოითხოვა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიეტის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (03.01.22.688; 03.01.22.657; 03.01.22.698; 03.01.22.633; 03.01.22.312; 03.01.22.694; 03.01.22.227; 03.01.22.695; 03.01.22.656; 03.01.22.311; 03.01.22.697; 03.01.22.291; 03.01.22.292), განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების

ინიციატივის განხილვა. საპროექტო ტერიტორია შედგება 13 საკადასტრო ერთეულისაგან და დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთებისგან, მისი საერთო ფართობია 32 035 კვადრატული მეტრი. მიწის ნაკვეთების ნაწილი წარმოადგენს კერძო საკუთრებას, ხოლო ნაწილი ამ დროისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია. როგორც წარმოდგენილი ინიცირების საფუძველი, დოკუმენტაციის განხილვით ირკვევა, რომ ინიციატორის მიერ დასახელებული დაგეგმილი ცვლილებების მიზანია - საცხოვრებელი ობიექტებით ჩამოყალიბებულ უბანში, განვითარდეს ასევე საცხოვრებელი ფუნქციის მქონე მრავალბინიანი კომპლექსები. ხოლო დაგეგმვის საჭიროება გამომდინარეობს ტერიტორიის შემდგომი განვითარების მიზნიდან - დადგინდეს განაშენიანების რეგლამენტები, განხორციელდეს უშენი ტერიტორიის განაშენიანება და მოეწყოს ინფრასტრუქტურა, - სახეზე გვაქვს დაგეგმვის საჭიროება და შესაბამისად ინიციატორის მიერ ინიცირებულ იქნა განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება.

შენიშვნა: ზემოთაღნიშნულ საკითხებზე დეტალურ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე, საჯარო ინფორმაციის ველში. *იხილეთ ბმული:* https://shorturl.at/Smllm

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი შენგელია